# PETROLHUB LLC

IDENTIFICATION NUMBER: 405525052
GEORGIA, CITY TBILISI, VAKE DISTRICT, N. RAMISHVILI ST, N33, APARTMENT.25

№ 31
22.08.2022

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „პეტროლჰაბი"-ს მიერ დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაკლიაში მდებარე, შ.პ.ს. „დეკა ინვესტი"-ს (ს/კ 404942130) საკუთრებაში არსებულ 32700.00 კვ.მ. ფართობის, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.06.00.089) 9000 $m^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საწყობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 29-ე პუნქტის თანახმად "1000 $m^3$ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლოატაცია" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 შესაბამისად კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 10 აგვისტოს №252/ს ბრძანებით გამოცემული იქნა №49 სკოპინგის დასკვნა.

წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში შპს „პეტროლჰაბის" 9000 $m^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 10 აგვისტოს №252/ს ბრძანებით გამოცემული №49 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
22. 08 2022 წ.
№ 4203

გთხოვთ არსებული კანონმდებლობით შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზ.დ.გ.) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება №100522 (10/05/2022);
7. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

დავით ინაური

შ.პ.ს. „პეტროლჰაბი"-ს დირექტორი